ხელშეკრულება №254

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი 14 -- დეკემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ ხონის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის ლადო ჯურხაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეო სტრიმი"-ს დირექტორი ქეთევან გოთუა (შემდგომში „მიმწოდებელი") ორივე ერთად წოდებულნი, როგორც „მხარეები" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეტუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყივების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ახალი წლის ღონისძიებასთან დაკავშირებით, ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიის განათებისთვის 20 მეტრიანი 137 ცალი (ჯამში 2740 მეტრი, გამჭვირვალე შნური, სპილენძის 2.5მმ, 220ვ, 200ლედი, გადასაბმელით) ლედ ნათების - სტრინგის (IP44) მოწოდების უზრუნველყოფა (CPV 31500000 - გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები; CPV 31522000 - საშობაო ნაძვის ხის ნათურები;) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2603.00 (ორიათას ექვსას სამი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და საგარანტიო პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადაა 2017 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

3.2 საგარანტიო ვადათ, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადისა, განისაზღვრება საქონლის მოწოდების თარიღიდან 1 (ერთი) თვე, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

3.3 მოწოდების ადგილია ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება იწარმოებს მოწოდებულ საქონელზე გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის საფუძვლზე.

4.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.მიღება-ჩაბარება

5.1 „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტის მერი და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

5.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლებამოვალეობანი

6.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია გასწიოს მომსახურეობა სათანადო ხარისხით.
6.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, „მხარეს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მხარეს“ ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 „მხარე“ ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე „მხარეს“.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, „მხარე“ ვალდებულია აცნობოს მეორე „მხარეს“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ინტერესტა კონფლიქტის არარსებობა

11.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შესმყიდველსა და მიმწოდებელს შორის არ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი.

12. სხვა პირობები.

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ორი რჩება „შემსყიდველთან“, ერთი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ხონის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ,,ჯეო სტრიმი“
ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6	ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. N1/2
საიდენტიფიკაციო კოდი: 244961225	საიდენტიფიკაციო კოდი: 400113685
სახელმწიფო ხაზინა	,,თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი - TRESGE22	კოდი:TBCBGE22
მიმღების ანგარიში - 200122900	ა/ა GE90TB7572236020100002
ხონის მუნიციპალიტეტის მერი	შპს ,,ჯეო სტრიმი“-ს დირექტორი
ლადო გურხაძე	ქეთევან გოთუა